საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 0 22 0000878549

05/08/2022

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების, "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ" და „ლ" ქვეპუნქტების, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, ,,სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 2022 წლის 04 აგვისტოს N872429 და N874680 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის შესაბამის ვებგვერდზე დროული და ზუსტი განთავსების მიზნით, დაევალოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მიწოდება საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციისათვის (დეპარტამენტი) ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ ვადებში.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ დადგინდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი ნათია ლომთაძე.

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელს ნათია ლომთაძეს, უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნების შესრულება.

4. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
მახარაშვილი თამარ